სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 მარტი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/60

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **პროგრამის მსმენელთან/სპეციალობის მაძიებელთან გასაფორმებელი**
ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, „დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო რეზიდენტურის მსმენელებისათვის (რეზიდენტებისათვის) სწავლის საფასურის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში დასაქმებული პირების (მოწვეული სპეციალისტების/რსუ-ს აკადემიური პერსონალის) შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 11 მარტის №01-10/36 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე (შემდეგში - „სარეზიდენტო პროგრამა") ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან (შემდეგში - **„მსმენელი"/„სპეციალობის მაძიებელი")** გასაფორმებელი **ხელშეკრულების ფორმა,** წინამდებარე ბრძანების №**1 დანართის** შესაბამისად.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან დასადები ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის **2020 წლის** 20 მარტის **№01-02/36** ბრძანება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველებში: „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" და „რექტორის ბრძანებები").
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ

დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (ფაკულტეტის სტომატოლოგიურ კლინიკას „ბსუ დენტი“, რეზიდენტურის პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ დეპარტამენტს და პროგრამების ხელმძღვანელებს), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

„ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან/სპეციალობის მაძიებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 მარტის №**01-02/**60 *ბრძანების*

დანართი №1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი -------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „**ბსუ**“/„უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში „**მსმენელი**“/„**სპეციალობის მაძიებელი**“) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **პროგრამის „----------“ (შემდეგში - პროგრამა) გავლასთან დაკავშირებით ბსუ-ს და პროგრამის** „მსმენელს“/„სპეციალობის მაძიებელს” შორის სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ბსუ-ს შინაგანაწესი, რომელსაც „მსმენელი“/„სპეციალობის მაძიებელი“ გაეცნო ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება): ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები; ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი; გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.3. წინამდებარე **ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია** პროგრამაზე „მსმენელის“/„სპეციალობის მაძიებლის“ ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება,** რომლითაც განისაზღვრება პროგრამაზე სწავლის დაწყების თარიღი და ხანგრძლივობა;

1.4. პროგრამა ხორციელდება ბსუ-ს იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35, ასევე ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ სხვა ფართში, სადაც წარიმართება პროგრამის შესაბამისი მოდული (სამედიცინო დაწესებულება/კლინიკა, ამ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების **გაფორმებამდე გაეცნო** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს **ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას (აღნიშნული და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტები/რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge, ველში „იურიდიული ცნობარი“).

2.2. მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი **ვალდებულია:**

ა) მიიღოს პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობა, პროგრამის (კურიკულუმის/სასწავლო გეგმის) და უნივერსიტეტში დადგენილი განრიგის შესაბამისად;

ბ) შეასრულოს პროგრამის მოთხოვნები (კურიკულუმი/სასწავლო გეგმა), მათ შორის შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით **აწარმოოს დღიური** (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანებით განსაზღვრული ნიმუშის (დანართი 1.1) შესაბამისად);

გ) პროგრამის მიმდინარეობის პროცესში (ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ) წარუდგინოს გაწეული <u>მუშაობის ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელს,</u> გაიაროს ეტაპობრივი და საბოლოო გამოცდები (შეფასება);

დ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის (ასევე იმ დაწესებულების, სადაც ხორციელდება პროგრამის მოდული) შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა;

ე) რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს (ცვლილებებს ამ აქტებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge)/პროგრამის განმახორციელებელი ბსუ-ს ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე ან/და „მსმენელს"/„სპეციალობის მაძიებელს" გაეგზავნება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე;

ვ) აცნობოს უნივერსიტეტს და წარუდგინოს მის პირად საქმეში განთავსებისათვის, პერსონალური მონაცემების (საკონტაქტო ინფორმაციის) ცვლილების შემთხვევაში - განახლებული ინფორმაცია;

ზ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები, ასევე ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით, პროგრამის და სწავლის საფასურის გადახდის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

2.3. **მსმენელს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს:**

ა) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე (ხელმოწერამდე) გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეგულაციებს/სამართლებრივ აქტებს და პროგრამას;

ბ) მიიღოს პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელისაგან/პერსონალისაგან მიიღოს კონსულტაციები, პროგრამის შინაარსზე და საორგანიზაციო საკითხებზე; მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით (კვალიფიციური ხელმძღვანელით, თანამედროვე კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით) უზრუნველყოფა; პროგრამის გავლის/მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობოს პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს; მონაწილეობა მიიღოს სარეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებაში; მიიღოს პროგრამის (მოდულის) გავლის დამადასტურებელი მოწმობა/ცნობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) პროგრამაზე სწავლის მიზნით ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში;

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს რეგულაციებით განსაზღვრული მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის სხვა უფლებებით.

2.4. ბსუ-ს უფლება აქვს:

ა) განსაზღვროს პროგრამაზე სწავლის განრიგი, მათ შორის ეტაპობრივი და საბოლოო გამოცდების (შეფასების) ჩატარების წესი და დრო, შეიტანოს ცვლილებები სწავლის საორგანიზაციო პროცედურებში (შესაბამისი ცვლილების შესახებ მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის ინფორმირებით);

ბ) არ დაუშვას მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი პროგრამის სასწავლო პროცესში (შეუწყვიტოს მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსი) ან/და არ გასცეს პროგრამის (მოდულის) გავლის დამადასტურებელი მოწმობა (ცნობა), თუ მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი არ შეასრულებს პროგრამის მოთხოვნებს ან/და ამ ხელშეკრულების პირობებს;

გ) დაამუშაოს მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა

დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში კანონიერი საჭიროების და მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის თანხმობის გათვალისწინებით.

2.5. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო პროცესი შესაბამისი პერსონალით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ბ) შეუქმნას მსმენელს/სპეციალობის მაძიებელს პროგრამის გავლისათვის (სწავლისათვის) შესაბამისი პირობები (გააცნოს პროგრამის შინაარსი, სასწავლო ცხრილი, პერსონალი, რეგულაციები);

გ) პროგრამის გავლის/ათვისების შედეგების გათვალისწინებით და ამ ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გასცეს მსმენელზე/სპეციალობის მაძიებელზე მოწმობა/ცნობა, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად;

დ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის უფლებების რეალიზებისათვის.

მუხლი 3. სწავლის საფასური და მისი გადახდის წესი

3.1. პროგრამაზე (ხანგრძლივობა - ---------- თვე) სწავლის საფასური განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით (ბრძანება №-----------,----------) და შეადგენს ---------- ლარს;

3.2. პროგრამაზე სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, მათ შორის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვებისა და ხელშეკრულების გაფორმებისთანავე - პირველი ორი თვის სწავლის საფასური, ხოლო სწავლის საფასურის დარჩენილი ოდენობა - ასათვისებელი მოდულების/სწავლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, თანაბარწილად, ყოველ თვეში, თვის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში, ამ ხელშეკრულებაზე **თანდართული გრაფიკით (დანართი №1,** რომელიც არის წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი);

3.3. სწავლის საფასური უნდა ჩაირიცხოს ბსუ-ს ანგარიშზე (ბანკის კოდი - TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709017263), ბსუ-ს მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის წესის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან (----- წლის ---------) და მოქმედებს პროგრამაზე (მოდულებზე) მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის მიერ სწავლის დასრულებამდე პერიოდში;

4.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევა.

4.3. მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის მიერ პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელისაგან გაფრთხილების მიღების ან/და მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს და ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტს პროგრამის მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის და მსმენელთან/სპეციალობის მაძიებელთან დადებული წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში მსმენელს/სპეციალობის მაძიებელს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური;

4.4. მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი მოდულის (მოდულების) დასრულების მოწმობა, თუკი სპეციალობის

მაძიებელს/მსმენელს შესრულებული ექნება პროგრამის მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები და ამასთან, გადახდილი იქნება ამ მოდულზე სწავლის საფასური.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი (მონაცემთა სუბიექტი) წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს თანხმობას,** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, მიღებული განათლება, ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, პროგრამაზე სწავლის შედეგები), ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის და პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, პროგრამის სასწავლო პროცესის მიზნებისათვის. მონაცემთა სუბიექტი **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების და პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით. მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5.2. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

5.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება პროგრამის განმახორციელებელი ბსუ-ს ფაკულტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, ხოლო მეორე გადაეცემა მსმენელს/სპეციალობის მაძიებელს.

5.5. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„უნივერსიტეტი"	**„მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი "**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სახელი და გვარი _____
ს/კ _____	პ/ნ: _____
	მისამართი: _____
მისამართი: ქ. ბათუმი,	_____
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35	ტელ: _____
	Email: _____
ბსუ-ს რექტორი	საბანკო რეკვიზიტები:
_____	_____
ხელმოწერა	_____
	ხელმოწერა

ბსუ-სა და მსმენელს/სპეციალობის მაძიებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (№.... --/--/--- წელი)

დანართი №1

პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის განრიგი	
ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **პროგრამის დასახელება** (შემდეგში - პროგრამა)	
პროგრამის ხანგრძლივობა სულ	
პროგრამაზე სწავლის საფასურის სრული ოდენობა	
პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესი	უნდა ჩაირიცხოს ბსუ-ს ანგარიშზე (ბანკის კოდი - TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709017263)
პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება (რომლის საფუძველზეც ჩატარებული კონკურსის შედეგად მოიპოვა პირმა პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება)	**ბსუ-ს რექტორის ბრძანება** №.... ---/----/.... წელი
პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული **პირის** (შემდეგში - მსმენელი/სპეციალობის მაძიებელი) **სახელი, გვარი და პირადი ნომერი**	
პროგრამაზე სწავლის დაწყების თარიღი	
მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის მიერ პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა	სულ: ------ თვე, ----- მოდული)

მსმენელის/სპეციალობის მაძიებლის მიერ პროგრამაზე **სწავლის საფასურის გადახდის განრიგი, სწავლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით**		
№	გადახდის თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	გადასახდელი თანხა (ლარი)
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობა სულ		